ინტერდისციპლინური კვლევითი ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი (IRC) (შემდგომში - ცენტრი) არის შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული.
2. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს წინამდებარე დებულების მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
3. ცენტრის დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.
4. ცენტრი აერთიანებს უნივერსიტეტში მოღვაწე საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტების პროფესორებს, რომლებიც ახორციელებენ, ინტერდისციპლინურ ან შედარებით კვლევებს.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები

1. ცენტრის მიზნებია:
ა) ინტერდისციპლინური ხედვის საფუძველზე კვლევითი პროექტების შემუშავება და განხორციელება;
ბ) კვლევის შედეგების განზოგადება, სამეცნიერო-კვლევითი სივრცის შექმნა ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი დისკურსისათვის - კონფერენციების, სიმპოზიუმების, ზაფხულის/ზამთრის სკოლებში და სხვა საჯარო განხილვებისა და აქტივობების ფორმატში);
გ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაში საკუთარი წვლილის შეტანა

მუხლი 3. ცენტრის საქმიანობის მიმართულებები

1. ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:
ა) ინტერდისციპლინური და კროსდიციპლინური კვლევითი პროექტების განხორციელება, როგორც უნივერსიტეტის, ისე საგარეო დაფინანსების საფუძველზე;
ბ) კვლევით საქმიანობაში ახალგაზრდა და გამოცდილი მკვლევარების თანაბარი ჩართვა;
გ) კვლევის შედეგების ფართოდ გავრცელება და ხელმისაწვდომობა, როგორც უნივერსიტეტის სტუდენტების, ისე სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის;
დ) კვლევის შედეგების სასწავლო დისციპლინებში ასახვა და დანერგვა.
გ) სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მოწვევა და მათი ჩართვა ცენტრის პროექტებში.

მუხლი 4. კვლევითი ცენტრის საქმიანობის სფეროები

1. ცენტრი ამ დებულების მე-2 მუხლში დასახელებული მიზნების მისაღწევად:
ა) თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოეთის სასწავლო-კვლევით დაწესებულებებთან;
ბ) სახელმწიფო ორგანოებთან, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან;
გ) მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში, ან საკუთარი რესურსით ახდენს მათ განხორციელებას. პერიოდულად ატარებს საერთაშორისო და ეროვნულ კონფერენციებს, სემინარებს და სამუშაო შეხვედრებს, რომელიც ემსახურება ცენტრის კვლევების შედეგების წარმოჩენას.
დ) ცენტრი კვლევას ახორციელებს თემატური კვლევითი პროექტების ფარგლებში.

მუხლი 5. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი. ცენტრის ფარგლებში შესაძლოა შეიქმნას დარგობრივი კვლევითი ჯგუფები, რომელსაც ხელმძღვანელობს დარგობრივი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
2. ცენტრის სამეცნიერო საქმიანობას განსაზღვრავს ცენტრის სამეცნიერო საბჭო, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 6. ცენტრის უფროსი

1. ცენტრის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
2. ცენტრის ხელმძღვანელს შესაძლოა მიეცეს ანაზღაურება. ანაზღაურების ოდენობა და პირობები განისაზღვრება მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით.
3. ცენტრის უფროსი:
ა) ორგანიზაციულ მმართველობას უწევს ცენტრის საქმიანობას. ცენტრის სამეცნიერო საბჭოსთან ერთად ხელმძღვანელობს ცენტრის სამეცნიერო საქმიანობას;
ბ) სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ძირითად სამეცნიერო მიმართულებებს;
გ) ორგანიზებას უწევს სამეცნიერო პროექტების დაფინანსებას, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;
დ) ხელს უწყობს ცენტრის სამეცნიერო კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა სახის ორგანიზაციებთან;
ე) ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კვლევათა გამოქვეყნებას;
ვ) ეწევა ცენტრის საგარეო და საშინაო წარმომადგენლობას, სათანადო მინდობილობის საფუძველზე.

მუხლი 7. ცენტრის დარგობრივი კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი

1. ცენტრს შეიძლება ჰყავდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დარგობრივი კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი, სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებით.
2. დარგობრივი კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგის მკვლევართა ჯგუფის მუშაობას;
ბ) შეიმუშავებს ახალ კვლევით ინიციატივებს და წარუდგენს მას ცენტრის ხელმძღვანელს და ცენტრის სამეცნიერო საბჭოს განსახილველად;
გ) ინტერდისციპლინური მუშაობისას წარმოადგენს დარგობრივი კვლევითი ჯგუფის მოსაზრებას;
დ) ზრუნავს ახალი სამეცნიერო პერსონალის ჩართვაზე ცენტრის ფარგლებში განხორციელებულ კვლევებში.

მუხლი 8. ცენტრის სამეცნიერო პერსონალი

წინამდებარე დებულების მიზნებისთვის ცენტრის სამეცნიერო პერსონალში მოიაზრება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და ასევე ის მკვლევარები, რომელთაც უნივერსიტეტში არ აქვთ დაკავებული აკადემიური თანამდებობა.

მუხლი 9. ცენტრის სამეცნიერო საბჭო

1.სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით რექტორის წარდგინებით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ამტკიცებს სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობას, რომლის წევრიც შესაძლოა იყოს ცენტრის უფროსი, ცენტრის დარგობრივი კვლევითი ჯგუფების ხელმძღვანელი. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში ასევე შესაძლოა შედიოდეს სხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე აკადემიური პერსონალი ან/და მკვლევარი.
2. ცენტრის სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს ცენტრის ხელმძღვანელი.
3.სამეცნიერო საბჭო განიხილავს და წყვეტს ცენტრის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს, კერძოდ:
ა) განიხილავს და ამტკიცებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმებს;
ბ) განიხილავს სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხებს;
გ) ისმენს და განიხილავს ცალკეულ მკვლევართა საქმიანობის ანგარიშებს;
დ) განიხილავს ცენტრის საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის საკითხებს, უცხო ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთობლივი პროექტების შესრულების მიმდინარეობას;
ე) ისმენს და განიხილავს ცენტრის თანამშრომელთა ანგარიშებს უცხოეთში სამეცნიერო მივლინების შესახებ;
ვ) ადგენს კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირების მიზანშეწონილობის საკითხებს;
ზ) უფლებამოსილია ყველა იმ საკითხზე, რომელიც ცენტრის სამეცნიერო აქტივობასა და საქმიანობას შეეხება.

4. ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სხდომებს წარმართავს ცენტრის ხელმძღვანელი.
5. ცენტრის სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა. საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტმა. საბჭო საკითხს წყვეტს ღია კენჭისყრით, თუ არ დადგინდა გადაწყვეტილების ფარული კენჭისყრით მიღების აუცილებლობა;
6. სამეცნიერო საბჭოს სხდომის მიმდინარეობის თაობაზე დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 10. ცენტრის მკვლევარი

1.ცენტრის მკვლევარი შეიძლება იყოს, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი, რომელიც მონაწილეობას იღებს ცენტრის გეგმით გათვალისწინებული პროექტის (პროექტების) შესრულებაში. ცენტრის მკვლევარს აქვს აკადემიური და სამეცნიერო თავისუფლება. მას უფლება აქვს:
ა) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, მეთოდები და საშუალებები;
ბ) მონაწილება მიიღოს დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებსა და სხვა ღონისძიებებში;
გ) წარმართოს ნებისმიერი სახის საქმიანობა, რომელიც შესაბამისი/დაკავშირებული იქნება ცენტრის ამოცანების შესრულებასთან.

მუხლი 11. ცენტრის საქმიანობის შეწყვეტა

ცენტრის საქმიანობის შეწყვეტა შესაძლებელია აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 12. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით კანონმდებლობით დადგენილი წესით.